ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზ. მამალაძეს

გეგზავნებათ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არის 0-იდან 18 წლამდე ასაკის 70-მდე შშმ პირი, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ დახმარებას და მათ ოჯახებს არ გააჩნიათ მედიკამენტის შესაძენად საჭირო თანხები. ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (შშმპ) მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა ფიზიკურმა, მენტალურმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა დამატებით ბარიერებთან ურთიერთქმედებაში შესაძლოა შეაფერხონ მათი საზოგადოების ცხოვრებაში თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს 2006 წლის კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვა პირთა თანაბრად აქვთ სოციალური დაცვის უფლება სხვა უფლებებთან ერთად . სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს განვითარებისთვის. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ადგილობრივ დონეზეც დარეგულირდეს სოციალური საკითხები, კონკრეტული მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: დადგენილების პროექტის მიღების მიზანია აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 0-დან 18 წლამე ასაკის შშმ პირების მედიკამანტების შეძენაზე დახმარება, რაც გამოიწვევს მათი სოციალური (ჯანმრთელობის) მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში, კერძოდ დადგენილების მეორე მუხლის მესამე პუნქტში ჩაემატება ე1 ქვეპუნქტი და 19[1] მუხლი.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: ვინაიდან, მედიკამენტების შეძენაზე დახმარება ერთჯერადი ხასიათისაა და არ უნდა აღემატებოდეს 100 (ასი) ლარს, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიორიაზე 70-მდე 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირი ცხოვრობს, საკრებულოს მიერ აღნიშნული პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოძიებული უნდა იქნას თანხა 7000 (შვიდი ათასი) ლარის ფაგრლებში და ცვლილების სახით აისახოს ბიუჯეტში.

გ)დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში: აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო , არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას/დაწესებულებას, ექსპერტებს.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია

ვ) დადგენილების პროექტის ავტორები:

პროექტის ავტორი: **დავით შარაშიძე**

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით შარაშიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: დავით შარაშიძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების შესახებ, გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: დავით შარაშიძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N----------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ' ' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016243)

1. დადგენილების მეორე მუხლის მესამე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $ე^1$ ქვეპუნქტი

$ე^1$) 0-იდან 18 წლამდე ასაკის პირების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება.

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 19^1 მუხლი

მუხლი 19[1]. 0-იდან 18 წლამდე ასაკის პირების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება.

1.დახმარების მიაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N100) და ანგარიშ-ფაქტურა;

ე) შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი;

2. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(ბრძანების) საფუძველზე არაუმეტეს 100(ასი) ლარისა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: **დავით შარაშიძე**

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-13 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ორგანიზაციას უწევს და ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რაც წარმოადგენს ორგანიზმის დარღვეული ან დაკარგული ფუნქციების, თვითმომსახურების, სხვადასახვაგვარი პრფესიული საქმიანობის უნარის აღდგენისა და კომპენსაციისათვის გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსს, აგრეთვე საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს იცხოვრონ სრულფასოვნად და უზრუნველყონ თავიანთი უფლებებისა და პოტენციური შესაძლებობების რეალიზაცია.რადგან სახელმწიფო აფინანსებს და ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო კვლევას და სპეციალისტების მომზადებას სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის შესაფერის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების სფეროში.კანონის ამ დანაწესში მოიაზრება ნებისმიერი ასაკის შშმ პირი და მათვის აუცილებელი ნებისმიერი სახის დახმარება.

შესაბამისად, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება.

ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძვლებია: საქართველოს ორგანული ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადეგნილება, საქართველოს კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ,,ნორმატიული აქტის ცვლილების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისთვის დადგენილი წესით, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება“.

საკრებულოს აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: დავით შარაშიძე